

**თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
მოსამართლეს ქ-ნ ლელა კალიჩენკოს**

**მოსარჩელე: შპს “კაფე რუსთაველის“  
დირექტორის იოსებ ქოქოლაძის  
(მის.: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №30)**

**მოპასუხეები:**

- 1. საქართველოს ეკონომიკური  
განვითარების სამინისტრო  
(მის.: თბილისი, ჭანტურიას ქ. №12)**
- 2. საქართველოს შს სამინისტროს  
ქ. თბილისის მთავრი სამმართველოს  
ძველი თბილისის სამმართველო  
(მის.: თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №27)**

**დ ა ზ უ ს ტ ე ბ უ ლ ი ს ა ს ა რ ჩ ე ლ ი  
ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

2004 წლის 15 ივნისს, შპს “კაფე რუსთაველსა“ და ფიზიკურ პირ მზია კაკაბაძეს შორის დადებული იქნა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც შპს “კაფე რუსთაველმა“ 2004 წლის 15 ივნისიდან 2019 წლის 14 ივნისამდე იჯარით აიღო თბილისში, რუსთაველის გამზ. №30-ში მდებარე, მზია კაკაბაძის კუთვნილი, 623.08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი **(იხ. ჩგენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №1).**

საიჯარო ქირა განისაზღვრა 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

2006 წლის 22 ნოემბერს, მეიჯარე მზია კაკაბაძემ მოგვმართა წერილით და შეგვატყობინა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ჩგენზე იჯარით გაცემული ფართის გასხვისება ეკონომიკური განვითარების სამინისტროზე და ფართის

გასხვისებისთანავე, შპს “კაფე რუსთაველი“ საიჯარო ურთიერთობას გააგრძელებდა ახალ მეიჯარესთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №2).**

2006 წლის 23 ნოემბერს, მეიჯარე მ. კაკაბაძემ აღნიშნული ფართი უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №3).**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 572-ე მუხლის შესაბამისად, თუ მეიჯარე (გამქირავებელი) გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გაასხვისებს მოიჯარისათვის (დამქირავებლისათვის) მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს მეიჯარის (გამქირავებლის) ადგილს და მასზე გადადის იჯარის (ქირავნობის) ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს “კაფე რუსთაველის“ სახელით 2006 წლის 22 დეკემბერს წერილით მიმართე ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს ბ-ნ კ. დამენიას და ვთხოვე, მოეწოდებინა იმ საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც შპს “კაფე რუსთაველი“ შეიტანდა ყოველთვიურ საიჯარო ქირას **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №4).**

2006 წლის 30 დეკემბერს, ყოფილმა მეიჯარემ, მ. კაკაბაძემ წერილით მიმართა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს ბ-ნ კ. დამენიას. წერილში აღნიშნული იყო, რომ თბილისში, რუსთაველის გამზ. №30-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, რომლის მესაკუთრესაც 2006 წლის 30 ნოემბრამდე წარმოადგენდა მ. კაკაბაძე, 2004 წლის 15 ივნისის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, იჯარით იქნა გადაცემული შპს “კაფე რუსთაველზე“. საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულება შპს “კაფე რუსთაველთან“ მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრამდე. მოიჯარეს მის მიერ აღებული საიჯარო ფართისათვის თავისი ხარჯით ჩატარებული აქვს კაპიტალური რემონტი. მოიჯარეს მთლიანად აქვს შესრულებული მისი საიჯარო ვალდებულება, რაც დადასტურებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების მიერ გაცემული ამონაწერითა და მოიჯარეის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ცნობებით **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №5).**

იმის გამო, რომ ჩვენი არაერთგზის მიმართვის მიუხედავად **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №6),** ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან 2007 წლის 12 თებერვლამდე ვერ მივიღეთ

სამინისტროს ის საბანკო რეკვიზიტები, რომლებზეც შპს “კაფე რუსთაველს“ შეეძლებოდა საიჯარო ქირის გადახდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის თანახმად, საიჯარო ქირა შეგვექონდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №7).**

2007 წლის 12 თებერვალს, ბატონმა კ. დამენიამ წერილობით შეეგატყობინა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იმ საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩვენს მიერ უნდა ჩარიცხულიყო საიჯარო ქირა **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №8).**

შესაბამისად, დღემდე შპს “კაფე რუსთაველს“ საიჯარო ქირა შეჰქონდა სამინისტროს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე და მთლიანად აქვს იგი დაფარული 2007 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით **(იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №9 და ამ სასარჩელო განცხადების დანართი №1).**

2007 წლის 22 მაისს, ძალაში შევიდა ცვლილება “უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში და იჯარის ხელშეკრულება დაექვემდებარა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრში სავალდებულო რეგისტრაციას **(იხ. “საქართველოს საკონმდებლო მაცნე“ №18, №155, 22.05.2007წ.).**

იმის გათვალისწინებით, რომ შპს “კაფე რუსთაველსა“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის არსებობს რეალური საიჯარო ურთიერთობა, რომლის თანახმად, სამინისტროს კუთვნილი, თბილისში, რუსთაველის გამზ. №30-ში მდებარე 623.08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, შპს “კაფე რუსთაველს“ 2019 წლის 14 ივნისამდე იჯარით აქვს აღებული, ყოველთვიურად იხდის საიჯარო ქირას 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით და შესაბამისად, მთლიანად ასრულებს მის საიჯარო ვალდებულებას, 2007 წლის 8 ივნისს წერილით მივმართეთ ეკონომიკური განვითარების მინისტრს ბ-ნ გ. არველაძეს და ვთხოვეთ შპს “კაფე რუსთაველსა“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის არსებულ საიჯარო ურთიერთობას მისცემოდა წერილობითი ფორმა (შპს “კაფე რუსთაველს“ და მ. კაკაბაძეს შორის 2006 წლის 1 იანვარს დადებულ საიჯარო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების სახით), რაც კანონით დადგენილი წესით, უნდა ასახულიყო უძრავ

ნივთებზე უფლებათა რეესტრში (იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №10).

2007 წლის 31 ივლისს გადმოგვეცა გაფრთხილება, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს შსს-ს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს საუბნო განყოფილების უფროსი ინსპექტორი ნ. ნარიმანიძე.

აღნიშნული გაფრთხილების თანახმად საქართველოს შსს-ს ადგილობრივ ორგანოს განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №30-ში მდებარე უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად შეშლის აღკვეთა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონებით სარგებლობს შპს “კაფე რუსთაველი“.

საქართველოს შსს-ს ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენლის მიერ გაფრთხილებული იქნა შპს “კაფე რუსთაველის“ წარმომადგენელი იმის თაობაზე, რომ 5 სამუშაო დღის ვადაში ნებაყოფლობით იქნეს შეწყვეტილი სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა და გატანილი იქნეს შპს “კაფე რუსთაველის“ ნივთები მის მიერ დაკავებული ფართიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს მიმართ განხორციელებული იქნება იძულებითი ღონისძიებები დაკავებული ფართის გამოთავისუფლების მიზნით (იხ. დანართი №2).

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საგარაუდო ხელშეწყობის მიერ უძრავ ნივთზე მართლზომიერი მფლობელობის ანდა სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოს მიერ, მფლობელობის აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე არ დაიშვება, ხოლო “საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “ა“ ქვეპუნქტის თანახმად, “საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად შეშლის აღკვეთის ღონისძიების შეწყვეტის საფუძველია აღკვეთის ღონისძიების დასრულებამდე უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის**

**ანდა სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა**“, ხოლო იმავე ბრძანების მე-2 მუხლის “ბ” პუნქტის შესაბამისად, მართლზომიერი მფლობელების ან/და სარგებლობის დასადასტურებლად შესაძლებელია უფლებამოსილ ორგანოს წარედგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მინისტრის ბრძანების აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, 2007 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსს ბატონ ირაკლი ყიფშიძეს წარუდგინეთ განცხადება და ყველა ის დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შპს “კაფე რუსთაველის“ მიერ, თბილისში, რუსთაველის გამზირი №30-ში, არსებული უძრავი ქონების ფლობის მართლზომიერების ფაქტი **(იხ. დანართი №3)**, თუმცა ჩვენს აღნიშნულ წერილზე არავითარი პასუხი არ მიგვიღია.

2007 წლის 7 აგვისტოს, დილის 8 საათზე, საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს 200-მდე თანამშრომელმა გადააკეტა შპს “კაფე რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორია. მათ ყოველგვარი განმარტების გარეშე, შეამტვრიეს შპს “კაფე რუსთაველის“ კარი, გამოზიდეს საწარმოს კუთვნილი ინვენტარი, დააღაგეს სპეციალურად მოყვანილ სატვირთო ავტომანქანაზე და წაიღეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დაქირავებულ საწყობში. დღეისათვის შპს “კაფე რუსთაველის“ მუშაობა პარალიზებულია და მიმდინარეობს იძულებითი გამოსახლების პროცესი.

2007 წლის 9 აგვისტოს გადმოგვეცა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის კ. დამენიას წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ შპს “კაფე რუსთაველსა“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის არსებული საიჯარო ურთიერთობა 2007 წლის 1 ივლისიდან შეწყვეტილი (მოშლილი) იქნა. **(იხ. დანართი №4)**.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ აღიარებული იქნა, რომ შპს “კაფე რუსთაველსა“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის ნამდვილად არსებობდა საიჯარო ურთიერთობა, რომელიც მინისტრის მოადგილის განცხადებით, შეწყვეტილი იქნა 2007 წლის 1 ივლისიდან, თუმცა რა

სამართლებრივი საფუძველი დაედო აღნიშნული საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტას, მინისტრის მოადგილეს არ განუმარტავს.

მიგვაჩნია, რომ როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოს მიერ შპს “კაფე რუსთაველის“ მიმართ დაშვებული იქნა კანონის უხეში დარღვევის ფაქტები, ვინაიდან შპს “კაფე რუსთაველი“ კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით დღეისათვის საიჯარო ურთიერთობაში იმყოფება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან. საიჯარო ხელშეკრულების გადა იწურება 2019 წლის 14 ივნისს. მოიჯარის მიერ დროულად ხდებოდა საიჯარო ქირის გადახდა და არ არსებობდა საიჯარო ურთიერთობის მოშლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არცერთი საფუძველი; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რაიმე პრეტენზია გაუჩნდებოდა იჯარის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, იგი უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსათვის კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ დარღვეული იქნა როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების, ისე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნები, ვინაიდან არ იქნა გამოკვლეული ის დოკუმენტაცია, რომლებიც ადასტურებდა შპს “კაფე რუსთაველის“ მიერ, რუსთაველის გამზ. №30-ში არსებული ქონების ფლობის მართლზომიერებას. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ წარდგენილ გაფრთხილებაში არ არის მითითებული ის ორგანო, რომელშიც შესაძლებელი იყო გასაჩივრებულიყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი — 2007 წლის 31 ივლისის გაფრთხილება, ასევე არ არის მითითებული ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა 2007 წლის 31 ივლისის გაფრთხილება.

ჩვენი, 2007 წლის 26 ივნისის სასარჩელო განცხადებაში მივუთითებდით, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხელს

შეუშლიდა საიჯარო ხელშეკრულების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას და ამ გარემოებას გამოიყენებს საიჯარო ურთიერთობის ვადამდე შესაწყვეტად, ეს ფაქტი გამოიწვევს შპს “კაფე რუსთაველის“ პარალიზებას, რაც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საწარმოს მთლიანობაში მიაყენებდა ზიანს 3 111 513 (სამი მილიონ ასთერთმეტი ათას ხუთასცამეტი) აშშ დოლარის ოდენობით (იხ. ჩვენი 26.06.2006 წლის სასარჩელო განცხადების დანართი №11), ვინაიდან შპს “კაფე რუსთაველს“ თავისი წარმოების განვითარებისათვის აღებული ჰქონდა 300 000 აშშ დოლარის ოდენობით და ყოველთვიურად იხდის მნიშვნელოვან საპროცენტო დანარიცხს, მასვე იჯარით აღებულ ფართზე ჩატარებული აქვს ძვირადღირებული რემონტი, ზემოაღნიშნულ სახელმწიფო ორგანოთა უაკნონო ქმედებებმა უმძიმესი მატერიალური ზიანი მიაყენეს საწარმოს და ფაქტობრივად ჩააყენეს გაკოტრების რეჟიმში.

საწარმომ მთლიანობაში მიიღო ზიანი 3 111 513 (სამი მილიონ ასთერთმეტი ათას ხუთასცამეტი) აშშ დოლარის ოდენობით (იხ. დანართი №11)

იჯარით აღებული ფართის იძულებით გამოთავისუფლების შემდეგ, შპს “კაფე რუსთაველის“ მიერ ჩატარებული იქნა დამატებითი ექსპერტიზა, რომლითაც გაანგარიშებული იქნა, რომ შპს “კაფე რუსთაველისათვის“ მიყენებული ზიანი ყოველდღიურად (საქონლის ღირებულების გარეშე) შეადგენს 2 087, 53 (ორი ათას ოთხმოცდაშვიდი მთელ 53 მეასედ) ლარს, ხოლო ერთჯერადი ზიანის სახით, იჯარით აღებული ფართიდან გამოსახლების გამო საწარმოს მიაღვა 24 145, 35 (ოცდაოთხი ათას ასორმოდცდახუთი მთელი 35 მეასედი) ლარის ზიანი (იხ. დანართი №5).

აქედან გამომდინარე, მოპასუხეების უაკნონო ქმედებით, 2007 წლის 7 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით შპს “კაფე რუსთაველს“ მიაღვა ზიანი 76 333, 60 (სამოცდათექვსმეტი ათას სამასოცდაცამეტი მთელი ექვსი მეათედი) ლარის ოდენობით, რაც იანგარიშება შემდეგნაირად: - 2087,53(ლარი-ყოველდღიური ზიანი) X 25 დღე (07.08.2007-დან 31.08.2007-ის ჩათვლით) + 24145,35 ლარი (ერთჯერადი ზიანი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დაევალოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების

სამინისტროს იმ საიჯარო ხელშეკრულების შესრულება, რომელიც მასსა და მოიჯარე შპს “კაფე რუსთაველს“ შორის, კანონის მოთხოვნის თანახმად, ჩამოყალიბდა თბილისში, რუსთაველის გამზ. №30-ში მდებარე 623.08 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მეიჯარე მ. კაკაბაძის მიერ უსასყიდლოდ გადაცემის შემდეგ.

2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 572-ე მუხლის შესაბამისად, დაეგალოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მ. კაკაბაძისა და შპს “კაფე რუსთაველის“ 2004 წლის 15 ივნისის იჯარის ხელშეკრულებაში, შპს “კაფე რუსთაველთან“ შეთანხმებით, შეიტანოს წერილობითი ცვლილება, რომლითაც მეიჯარედ დაფიქსირდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, ბათილად იქნეს ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი – საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს 2007 წლის 31 ივლისის გაფრთხილება №19
4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის “გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ზიანის ანაზღაურება, 2007 წლის 07 აგვისტოდან 2007 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით (ამ დაზუსტებული სარჩელის დღისათვის) – შპს “კაფე რუსთაველის“ მიმართ 76 333, 60 (სამოცდათექვსმეტი ათას სამასოცდაცამეტი მთელი ექვსი მეთათვი) ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

შპს “კაფე რუსთაველის“

**დანართი:**

1. დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება შპს “კაფე რუსთაველის“ მიერ 2007 წლის აგვისტოს თვის ჩათვლით საიჯარო ქირის გადახდის ფაქტი.
2. გაფრთხილება, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ (№19; 31.07.2007).
3. შპს “კაფე რუსთაველის“ დირექტორის 02.08.07წ. განცხადება საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსის ირაკლი ყიფშიძისადმი, უძრავი ქონების მართლზომიერი ფლობის დამდასტურებელი თანდართული დოკუმენტაციით.
4. ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის კ. დამენიას წერილი (09.08.2007წ.)
5. ექსპერტიზის დასკვნა (24.08.2007წ.)